



დებულება

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის
წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია

2020 წელი

საქართველოს საპატრიარქო

ქუთაის - გაენათის ეპარქია

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის

წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია

ქ. წყალტუბო, 9 აპრილის მე-3 შესახვევი № 12; T: 0(436) 22-21-17; მობ. (599) 55 50 72;

ქ. წყალტუბო

01 ნოემბერი 2019 წ.

ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორის

ბრძანება N94

ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის დებულების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ა(ა)იპ „წმინდაგაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის“ წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის“ დებულების ახალი რედაქცია (დანართი N1);
2. დაევალოს ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს(სასწავლო-ადმინისტრაციულ დარგში) მათა ონიანს,სასკოლო საზოგადოებისათვის აღნიშნული დებულების გაცნობა;
3. დაევალოს ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის საქმისმწარმოებელს ლონდა ონიანს და ისტ-ის პედაგოგს ქრისტინა ქუთათელაძეს ბრძანების დანართი N1-ის ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის
სახელობის წყალტუბოს

ქუთათელ-გაენათელი

სასულიერო გიმნაზიის რექტორი

იოანე /გამრეკელი/

სარჩევი

თავი I - ზოგადი დებულებები.....	5
მუხლი 1. „სასულიერო-გიმნაზიის“ სტატუსი.....	5
მუხლი 2. „სასულიერო-გიმნაზიის“ დებულების მოქმედება	5
მუხლი 3. „სკოლა-გიმნაზიის“ მისია	5
თავი II - სასწავლო პროცესი.....	6
მუხლი 4. სწავლების მეთოდები და ამოცანები.....	6
მუხლი 5. სწავლის პროცესი.....	6
მუხლი.6 სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ზედამხედველობა	6
მუხლი 7. სწავლების ხანგრძლივობა, დასვენების დღეები.....	7
თავი III - „სასულიერო გიმნაზიაში“ მოსწავლეთა მიღების წესი	7
მუხლი 8. მიღების წესი და პირობები.....	7
თავი IV - ქვევის ზოგადი წესები და დისციპლინური პასუხისმგებლობა.....	7
მუხლი 9. მოსწავლის ქვევის წესები და სწავლის პირობები.....	7
მუხლი 10. დისციპლინური გადაცდომა.....	8
მუხლი 11.დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები	8
მუხლი 12. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნა.....	9
თავი V - მოსწავლი ცოდნის შეფასების წესები და პირობები	9
მუხლი 13. მოსწავლეთა მომდევნო კლასში გადაყვანისა და დათხოვნის წესები და პირობები.	9
მუხლი 14. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები	9
თავი VI - „სასულიერო გიმნაზიის“ სტრუქტურა და მართვა.....	10
მუხლი 15 „სასულიერო გიმნაზიის“ სტრუქტურა	10
მუხლი 16. სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და გაუქმების წესი.....	10
მუხლი 17. სასულიერო გიმნაზიის მართვა	10
მუხლი 18„სასულიერო გიმნაზიის“ რექტორი	11
მუხლი 19„სასულიერო გიმნაზიის“პრორექტორი	12
მუხლი 20. „სასულიერო გიმნაზიის“ პრორექტორი სასულიერო საგნების სწავლების დარგში.	12
მუხლი 21 „სასულიერო გიმნაზიის“ სასწავლო პროცესის კოორდინატორი	13
მუხლი 22 „სასულიერო გიმნაზიის“ კომუნიკაციების მენეჯერი.....	13
მუხლი 23. ხარისხის მართვის მენეჯერი.....	13
მუხლი 24 „სასულიერო გიმნაზიის“ ფსიქოლოგი	14
მუხლი 25 „სასულიერო გიმნაზიის“ სამეურნეო ნაწილის გამგე.....	15
მუხლი 26„სასულიერო გიმნაზიის“ ბუღალტერი	15
მუხლი 27 „სასულიერო გიმნაზიის“ პედაგოგიური საბჭო,მისი დაკომპლექტების წესი და პირობები.....	16
მუხლი 28„სასულიერო-გიმნაზიაში“ პედაგოგის სამსახურში მიღება.....	17
მუხლი 29. კლასის დამრიგებელი	17
თავი VII - დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.....	18
მუხლი 30.დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები	18
მუხლი 31 „სასულიერო-გიმნაზიის“ მშობელთა სათათბირო.....	18
მუხლი 32 „სასულიერო გიმნაზიის“ ბიბლიოთეკა	18
მუხლი 33. „სასულიერო გიმნაზიის“ IT ტექნოლოგიების(ინფორმატიკის) კაბინეტი	18
მუხლი 34 სასულიერო გიმნაზიის კანცელარია.....	19
მუხლი 35. „სასულიერო გიმნაზიის“სამედიცინოკაბინეტი.....	19
მუხლი 36.სამეურნეოგანყოფილება.....	19
თავიVIII - თანამშრომელთა შერჩევისა და დანიშვნის წესი	20

მუხლი 37. კონკურსის გამოცხადების წესები და პირობები	20
მუხლი 38 რეგისტრაციის დროს წარმოსადგენი საბუთები	20
მუხლი 39. კონკურსის ჩატარების წესები და პირობები	20
მუხლი 40. თანამშრომელთა მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესი	21
მუხლი 41. განსაკუთრებული მოთხოვნები პედაგოგთა მიმართ	22
მუხლი 41. შიდა კონტროლის განხორციელების წესი და სახელმძღვანელო დოკუმენტების მიღების წესი	23
თავი IX - გარდამავალი და დასკვნითი დებულებები	24
მუხლი 42. „სასულიერო -გიმნაზიის“ დებულების დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი	24
მუხლი 43. „სასულიერო -გიმნაზიის“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია	24
2020 -2021 სასწავლო წლის (უქმე დღეების) კალენდარი	24

დანართი №1

თავი I - ზოგადი დებულებები

მუხლი 1. „სასულიერო-გიმნაზიის“ სტატუსი

1. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია (შემდგომში წოდებული „სასულიერო-გიმნაზია“), არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას სამივე (დაწყებით (I-VI), საბაზო (VII-IX) და საშუალო (X-XII)) საფეხურზე;
2. „სასულიერო გიმნაზია“, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კანონითა და ამ დებულებით დადგენილი მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და უფლებამოსილია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.
3. „სასულიერო გიმნაზიას“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთააღრიცხვა, ანგარიშსწორების ანგარიშები ბანკებში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტები;
4. „სასულიერო გიმნაზიის“ იურიდიული მისამართია: 9 აპრილის ქუჩა, მე-3 შესახვევი, N-12, წყალტუბო, საქართველო.

მუხლი 2. „სასულიერო-გიმნაზიის“ დებულების მოქმედება

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს „სასულიერო გიმნაზიის“ ძირითად ამოცანებსა და კომპეტენციის სფეროებს, სასულიერო გიმნაზიის სტრუქტურას, მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება მოვალეობებს;
2. წინამდებარე დებულება შესასრულებლად სავალდებულოა „სასულიერო გიმნაზიის“ ყველა სტრუქტურული ერთეულის, პედაგოგის, სხვა პერსონალის, მოსწავლისა და მისი მშობლებისათვის (კანონიერი წარმომადგენელი) / მეურვისათვის / მზრუნველისათვის.

მუხლი 3. „სკოლა-გიმნაზიის“ მისია

1. „სასულიერო გიმნაზია“ ვალდებულია შეუქმნას მოსწავლეს საუკეთესო პირობები სწავლისა და შემოქმედებითი განვითარებისათვის, უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებულ განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პროგრამების, სწავლის მეთოდებისა და ხარისხის გაუმჯობესებაზე;

პირველად ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია აიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2008 წ. 19 თებერვლის №140 ბრძანების საფუძველზე. გიმნაზია ხელს უწყობს მოსწავლეებში რელიგიური, ეროვნული, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობას და პატივისცემას, მსოფლიოში ქრისტიანული კულტურის ადგილისა და მნიშვნელობის გაცნობიერებას, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივირებას გონებრივი შესაძლებლობების მიხედვით, აძლევს მათ ღრმა, საფუძვლიან და მტკიცე ცოდნას. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების გარდა გიმნაზიაში დიდ ყურადღება ენიჭება ქრისტიანული ღირებულებებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას. ამასთან „სასულიერო-გიმნაზია“ ხელს უწყობს

მოსწავლეებში კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებას, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას;

2. „სასულიერო-გიმნაზია“ მიზნად ისახავს აღზარდოს ფიზიკურად ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული, გულისხმიერი და შემწყნარებელი, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობა და თავის მხრივ, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ჯანსაღი, თავისუფალი, ღია სამოქალაქოსაზოგადოების ჩამოყალიბებას;
3. „სასულიერო-გიმნაზიის“ დანიშნულებაა მოზარდების ინტეგრირება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

თავი II - სასწავლო პროცესი

მუხლი 4. სწავლების მეთოდები და ამოცანები

1. „სასულიერო გიმნაზია“ სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად ადგენს სასწავლო რეჟიმსა და საგაკვეთილოცხრილს. სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას „სასულიერო-გიმნაზია“ ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით;
2. „სასულიერო-გიმნაზიაში“ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი წარმართება მართლმადიდებლური სწავლების, მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში არსებული გამოცდილებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოს საგანმანათლებლო მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად;
3. სადამრიგებლო პროგრამას უძღვება კლასის დამრიგებელი;
4. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობს ქართულენაზე.

მუხლი 5. სწავლის პროცესი

1. სწავლის პროცესი ეფუძნება პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებს;
2. სწავლის პროცესი მიმდინარეობს მოსწავლის ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
3. სწავლის პროცესი აგებულია პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობასა და პატივისცემაზე. სწავლის პროცესში პრიორიტეტი ენიჭება ორივე მხარის ინტერესებისა და მათი უფლება-მოვალეობების განუხრელ დაცვას;
4. სწავლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული თემატიკაზე, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში;
5. მოსწავლეებსა და მათ მშობლებს (კანონიერიწარმომადგენელი) /მეურვეს/ მზრუნველს სწავლის პროცესის მიზნებისა და ამოცანების, აგრეთვე, მათი დროში განაწილების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ სასწავლო წლის დაწყებამდე.

მუხლი.6 სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ზედამხედველობა

- .სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მართლმადიდებლურ სწავლებასთან შესაბამისობას ზედამხედველობს „სასულიერო გიმნაზიის“ პრორექტორი სასულიერო საგნების სწავლების დარგში ან/და „სასულიერო- გიმნაზიის“ რომელიმე მოძღვარი.

მუხლი 7. სწავლების ხანგრძლივობა, დასვენების დღეები

1. „სასულიერო გიმნაზიაში“ დაწესებულია ხუთდღიანი სასწავლო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით; სასწავლო წელი იწყება და სრულდება კანონით დადგენილი წესით;
2. სასწავლო წელი დაყოფილია ორ სემესტრად (გაზაფხულის სემესტრი და შემოდგომის სემესტრი);
3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა და არდადეგების გარდა, „სასულიერო-გიმნაზია“ ხელმძღვანელობს საკუთარი კალენდრით (სასწავლო კალენდარი დებულებას თან ერთვის დანართი №2-ის სახით).

თავი III - „სასულიერო გიმნაზიაში“ მოსწავლეთა მიღების წესი

მუხლი 8. მიღების წესი და პირობები

1. „სასულიერო-გიმნაზიის“ პირველკლასში მოსწავლის მიღება ხდება გასაუბრებით, გასაუბრების შედეგად მოწმდება სასკოლო მზაობა, რომელიც გულისხმობს ბავშვის მზაობას სკოლის სპეციფიკური მოთხოვნებისასადმი.
2. **სასკოლო მზაობის ძირითადი მახასიათებლებია**
 - ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება;
 - სოციალურ-ემოციური განვითარება;
 - სწავლისადმი მიდგომა;
 - მეტყველებისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება; შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა.
3. „სასულიერო გიმნაზიაში“ მოსწავლის ჩარიცხვამდე მისი მშობელი (კანონიერი წარმომადგენელი)/მეურვე, მზრუნველი ინფორმირებული უნდა იქნეს მასზე, რომ მათთვის შესასრულებლად სავალდებულოა „სასულიერო გიმნაზიის“ შინაგანაწესი და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მომწესრიგებელი სხვა სამართლებრივი აქტები. ასევე, მათთვის ცნობილი უნდა იქნეს, რომ დასახელებული სამართლებრივი აქტები ხელმისაწვდომია „სასულიერო - გიმნაზიის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე :<http://gabrielisgimnazia.ge>, „სასულიერო-გიმნაზიის“ საინფორმაციო სტენდსა და ბიბლიოთეკაში;
4. „სასულიერო გიმნაზიასა“ დამოსწავლის მშობელის (კანონიერი წარმომადგენელი) /მეურვეს, მზრუნველს შორის უნდა დაიდოს ხელშეკრულება წერილობითი ფორმით, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა ორმხრივი უფლებები და ვალდებულებები;
5. სხვა სასწავლო დაწესებულებიდან მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაში, მოსწავლემ უნდა გაიაროს ტესტირება ცოდნის დონის შესამოწმებლად. გადაწყვეტილება მიიღება ტესტირების შედეგების გათვალისწინებით.

თავი IV - ქცევის ზოგადი წესები და დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 9. მოსწავლის ქცევის წესები და სწავლის პირობები

1. მოსწავლე ვალდებულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე „სასულიერო-გიმნაზიის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს დაიცვას მოსწავლის ქცევის კოდექსი.
2. მოსწავლე უფლებამოსილია:

- ითხოვოს გათავისუფლება გაკვეთილებიდან, თუ მას გააჩნიადასაბუთებელი მიზეზი (ექიმის ცნობა, მშობლის წერილი, განცხადება) ან არის შეუძლოდ, რასაც ადასტურებს „სასულიერო გიმნაზიის“ ექიმი.
- სწავლის პროცესიდან განთავისუფლება ითხოვოს დამრიგებლისა ან/და გიმნაზიის ექიმის წარდგინებით „სასულიერო გიმნაზიის“ ადმინისტრაციას

მუხლი 10. დისციპლინური გადაცდომა

1. დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს:

- „სასულიერო-გიმნაზიის“ შინაგანაწესის დარღვევა.
- მოსწავლის მიერ მოსწავლის ქცევის კოდექსთან აშკარად შეუთავსებელი ქმედება.
- ზოგადზნობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად იმისა, „სასულიერო გიმნაზიაში“ ჩადენილი თუ მის გარეთ.
- კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების ბრალეული დარღვევა.

მუხლი 11. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორმა, დისციპლინური გადაცდომისათვის ჩამდენი პირის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:
2. მოსწავლეს დისციპლინარული გადაცდომის ჩადენისათვის შეიძლება დაედოს შემდეგი დისციპლინარული სახდელი:
 - სიტყვიერი/წერილობითი გაფრთხილება
 - საყვედური;
 - მშობელთან დათათბირება;
 - გიმნაზიიდან დროებითი (ერთიდან ხუთდღემდე) დათხოვნა;
 - გიმნაზიისათვის სასარგებლო შრომა,
 - მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა;
3. „სასულიერო-გიმნაზიისათვის“ სასარგებლო შრომა რაც ნიშნავს მოსწავლის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორი. „სასულიერო-გიმნაზიისათვის“ სასარგებლო შრომა, ინიშნება 5სთ.-დან 10სთ.მდე ვადით, მაგრამ მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღმატებოდეს დღეში 1სთ.-ს.
4. დროებით დათხოვნა სასულიერო-გიმნაზიიდან, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება ერთიდან 5-დან (ან 10) სასწავლო დღემდე.
5. თუ კი მოსწავლის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ზომა, ხოლო მოსწავლე კვლავ ჩაიდენს დისციპლინურ გადაცდომას, „სასულიერო - გიმნაზიის“ მხრიდან შეიძლება აგამოყენებული იქნეს მოსწავლი სმშობელთან (კანონიერი წარმომადგენელი)/მეურვესთან/ მზრუნველთან გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა;
6. უფლებამოსილება (მიუხედავად იმისა მოსწავლეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის მომენტისათვის მოხსნილი იქნება თუ არა დისციპლინური პასუხისმგებლობა ამდებულებების მე-13 მუხლის შესაბამისად). ხელშეკრულების ვადამდე, ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას

იღებს „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორი პედაგოგიური საბჭოს წარდგინებითადაა(ა)იპ „წმინდაგაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ადმინისტრაციის თანხმობით.

7. ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

მუხლი 12. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნა

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება აღინიშნება მოსწავლის პირად საქმეში
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდებ პირს ან/ ა(ა)იპ „წმინდაგაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორს უფლება აქვს მოსწავლეს ვადამდე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა მოსწავლემ.
3. თუ მოსწავლეს ერთი წლის განმავლობაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი მიიჩნევა დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.
4. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე მოხსნა ფორმდება წერილობით, ორპირად. ერთი პირი რჩება „სასულიერო გიმნაზიაში“, მეორე პირი კი, გადაეცემა თვითონ მოსწავლეს.
5. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე მოხსნა შეიტანება პირად საქმეში.

თავი V - მოსწავლი ცოდნის შეფასების წესები და პირობები

მუხლი 13. მოსწავლეთა მომდევნო კლასში გადაყვანისა და დათხოვნის წესები და პირობები.

1. კლასი დამლეულად მიიჩნევა , თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5,5 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს შეფასება ჩათვლის სისტემით (ჩათვალა/ არ ჩათვალა) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში;
2. თუ მოსწავლე ვერ აღწევს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ სასწავლო მიზნებსა და ამოცანებს კონკრეტულ საგანში, მასთან იგეგმება დამატებითი, ინდივიდუალური, ან ჯგუფური მეცადინეობები პრობლემის აღმოსაფრხვლად. თუ მოსწავლემ, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა ვერ გადალახა სასულიერო გიმნაზიის მიერ დადგენილი საგნის/საგნების დამლევის ბარიერი, მაგრამ დამლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ბარიერი, უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა სკოლის მომდევნო კლასში;

მუხლი 14. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

1. აკადემიური მოსწრების შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი. უნდა შეფასდეს არა მარტო ინფორმაციის ფლობა, არამედ შეძენილი უნარ-ჩვევები, აზროვნების დემონსტრირების ფორმები და სხვა.
2. სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის არ არის საკმარისი მოსწავლის ცოდნა შეფასდეს მხოლოდ შესრულებული შემაჯამებელი დავალებებისა და ტესტების შედეგების საფუძველზე. მასწავლებელი მოსწავლეს უნდა აფასებდეს დაკვირვების შედეგად დაგროვილი ნამუშევრების, საქალაქდების, პრეზენტაციების, მოსწავლისავე თვითშეფასების, ჯგუფური

მუშაობის თუ სხვა ტიპის მოქმედებების მიხედვით. შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის ხარისხი. აუცილებელია მოსწავლემ წინასწარ იცოდეს, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო მოქმედებები. შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინდივიდუალურობა. შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს იმ მისაღწევი შედეგებიდან, რასაც მასწავლებელი ასახავს გაკვეთილის ან ერთი თემის შესწავლისას;

3. დაბალი ნიშნით შეფასება, როგორც დისციპლინური სახდელი, არ არის გამართლებული;
4. მოსწავლის აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით;
5. დაწყებითსაფეხურზე (I-IV კლ.) მოქმედებს განმავითარებელი შეფასება, განმავითარებელი შეფასება მოქმედებს ასევე V კლასის პირველ სემესტრში VI-XII კლასებში მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით;
6. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩათვალა/არ ჩათვალა.
7. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

თავი VI - „სასულიერო გიმნაზიის“ სტრუქტურა და მართვა

მუხლი 15 „სასულიერო გიმნაზიის“ სტრუქტურა

- „სასულიერო გიმნაზია“ შედგება რექტორატის (ადმინისტრაცია), პედაგოგიური საბჭოს, მშობელთა სათათბიროს, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულისაგან.

მუხლი 16. სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და გაუქმების წესი

- „სასულიერო გიმნაზიის“ ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას შეიმუშავებს „სასულიერო გიმნაზიის“ ადმინისტრაცია და დასამტკიცებლად წარუდგენს ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორს.

მუხლი 17. სასულიერო გიმნაზიის მართვა

1. „სასულიერო გიმნაზიის“ ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობით უფლება-მოსილებას ერთპიროვნულად და მესამე პირებთან ურთიერთობაში ახორციელებს ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის დამფუძნებლის მიერ დანიშნული რექტორი.
2. „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორის უფლება-მოსილება გაწერილია ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის წესდებაში;
3. „სასულიერო გიმნაზიის“ აღმასრულებელი ორგანოა სასულიერო გიმნაზიის რექტორი და ადმინისტრაცია;
4. „სასულიერო გიმნაზიის“ ადმინისტრაციაში თანამდებობრივად შედიან:
 - რექტორი;
 - პრორექტორი სასწავლო-ადმინისტრაციულ დარგში

- პრორექტორი სასულიერო საგნების სწავლების დარგში
- სასწავლო პროცესის კოორდინატორი
- ხარისხის მართვის მენეჯერი
- კომუნიკაციების მენეჯერი
- რექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში (სამეურნეო ნაწილის გამგე);
- ბუღალტერი.

მუხლი 18, „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორი

1. სასულიერო გიმნაზიის რექტორს ნიშნავს მისი დამფუძნებელი.
2. გიმნაზიის რექტორი წარმოადგენს სასულიერო გიმნაზიას მესამე პირებთან ურთიერთობაში.
3. რექტორი:
 - ზედამხედველობას უწევს სასულიერო გიმნაზიის ადმინისტრაციას და განსაზღვრავს მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
 - ზედამხედველობს და მართავს „სასულიერო გიმნაზიის“ სასწავლო-საადმინისტრაციო პროცესს;
 - ამტკიცებს „სასულიერო გიმნაზიის შინაგანაწესს“ ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორთან შეთანხმებით, ანაწილებს მოვალეობებს სასულიერო გიმნაზიის ადმინისტრაციის წევრებს შორის;
 - კანონმდებლობითა და გიმნაზიის წესდებით/ დებულებით დადგენილი წესით დებს გარიგებებს „სასულიერო გიმნაზიის“ სახელით;
 - ამტკიცებს „სასულიერო გიმნაზიის“ სამტატო განრიგს, მოქმედ კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე წყვეტს გიმნაზიის ადმინისტრაციის, პედაგოგების და სხვა ტექნიკური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნა - განთავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს, ასევე მოსწავლეების წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ან/და მათი მოხსნის საკითხებს.
 - ა(ა)იპ „წმინდაგაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორის თანხმობით მოქმედი კანონმდებლობისა და გიმნაზიის წესდების შესაბამისად, აგრეთვე დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად განკარგავს გიმნაზიის ქონებას და საფინანსო სახსრებს;
 - ა(ა)იპ „წმინდაგაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორი სასულიერო გიმნაზიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ამყარებს კავშირს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
 - ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს;
4. თავისუფლების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;
5. ა(ა)იპ „წმინდაგაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე, სასწავლო-ადმინისტრაციითი პროცესის ორგანიზაციაზე, „სასულიერო გიმნაზიის“ მატერიალური და ფინანსური სახსრების განკარგვის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე.
6. ხელს აწერს გიმნაზიის საფინანსო დოკუმენტაციებს;
7. რექტორის არ ყოფნის, მის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, რექტორის მოვალეობებს მისი მითითებით, ან/და მითითების გარეშე ასრულებს „სასულიერო გიმნაზიის“ პრორექტორი;

მუხლი 19 „სასულიერო გიმნაზიის“ პროექტორი

(რექტორის მოადგილე სასწავლო - ადმინისტრაციულ მუშაობის დარგში)

1. გიმნაზიის პროექტორს ნიშნავს/ ათავისუფლებს გიმნაზიის რექტორი;
2. პროექტორს სასწავლო - ადმინისტრაციულ დარგში ევალება:
 - პედაგოგიური საბჭოს მუშაობის ხელმძღვანელობა;
 - სასწავლო ცხრილის შესრულების უშუალო კონტროლი (გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების, პედაგოგთა ჩანაცვლების საკითხების გადაწყვეტა);
 - სასწავლო საადმინისტრაციო გეგმების შედგენა და მათი შესრულების მიმდინარეობის კონტროლი და დამტკიცება;
 - სწავლების პროცესის მონიტორინგი რექტორატის მიერ დამტკიცებული პარამეტრებით;
 - პედაგოგების მიერ მათი მოვალეობის შესრულების კონტროლი; გიმნაზიის კათედრების მუშაობის მონიტორინგი;
 - ყოველითვის ბოლოს ინფორმაციის მომზადება რექტორისათვის სასწავლო-საადმინისტრაციო პროცესის პრობლემების შესახებ;
 - შეფასების სისტემის მონიტორინგი - ყოველი სემესტრის ბოლოს ანგარიშის წარდგენა რექტორისათვის.
3. ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს, აზუსტებს პედაგოგთა დატვირთვას, ხელმძღვანელობს გამოცდების და ტესტირებების ორგანიზებულად ჩატარებას. რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს საგამოცდო კომისიების შემადგენლობას.
4. რექტორის არყოფნის ან თავის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, რექტორის მოვალეობებს მისივე მითითებით, ან ამგვარი მითითების გარეშე, ასრულებს პროექტორი.

მუხლი 20. „სასულიერო გიმნაზიის“ პროექტორი სასულიერო საგნების სწავლების დარგში.

1. პროექტორი სასულიერო საგნების სწავლების დარგში არის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახური.
2. მას ნიშნავს და ათავისუფლებს გიმნაზიის დამფუძნებელი - საქ. სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი (მისგან უფლებამოსილი პირი).
3. იგი უზრუნველყოფს გიმნაზიის სასწავლო-საადმინისტრაციო პროცესის შესაბამისობას ქრისტიანული პედაგოგიკის საფუძვლებთან, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებასთან და ამ მიზნით ზედამხედველობს გიმნაზიას.
4. იგი უფლება მოსილია მონაწილეობა მიიღოს გიმნაზიის სასწავლო-საადმინისტრაციო პროცესის მონიტორინგში.
5. ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ, ასევე სასულიერო საგნების სწავლების საკითხებს.
6. რექტორის ან პროექტორის სასწავლო-ადმინისტრაციულ დარგში არ ყოფნის, მათ მიერ თავის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, რექტორისა და პროექტორის მოვალეობებს მათი მითითებით ასრულებს პროექტორი სასულიერო დარგში.

მუხლი 21. „სასულიერო გიმნაზიის“ სასწავლო პროცესის კოორდინატორი

სასწავლო პროცესის კოორდინატორს ევალება:

- 1) გიმნაზიაში მიმდინარე სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლი;
- 2) საგაკვეთილო ცხრილის შედგენა და მისი შესრულების უშუალო კონტროლი (გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების, პედაგოგთა ჩანაცვლების საკითხების გადაწყვეტა);
- 3) სასწავლო და სადამრიგებლო გეგმების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი;
- 4) სწავლა-სწავლების პროცესის მონიტორინგი რექტორატის მიერ დამტკიცებული პარამეტრებით;
- 5) პედაგოგების მიერ მათი მოვალეობის შესრულების კონტროლი;
- 6) კათედრების მუშაობის მონიტორინგი;
- 7) სასწავლო დისციპლინების სწავლების კონტროლი, სწავლების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობის ანალიზი.
- 8) შეფასების სისტემის მონიტორინგი – სემესტრის ბოლოს ანგარიშის წარდგენა სასულიერო გიმნაზიის რექტორისთვის.
- 9) მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მეთოდურ დახმარების გაწევა, ზრუნვა ახალგაზრდა, დაძვლები პედაგოგების დაოსტატებაზე, შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება მათი პედაგოგიური და მეთოდური დახელოვნებისათვის.

მუხლი 22 „სასულიერო გიმნაზიის“ კომუნიკაციების მენეჯერი

1. კომუნიკაციების მენეჯერს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორი;
2. კომუნიკაციების მენეჯერი უზრუნველყოფს გიმნაზიის სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის შესაბამისობას პედაგოგიკის საფუძვლებთან, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებასთან და ამ მიზნით, მონაწილეობს გიმნაზიის მართვაში;
3. ახორციელებს აღმზრდელობითი მუშაობის კოორდინაციას.
4. დახმარებას და კონტროლს უწევს კლასის დამრიგებელთა მუშაობას, უზრუნველყოფს სააღმზრდელო ღონისძიებების დაგეგმვას და მათ განხორციელებას.
5. ხელმძღვანელობს გიმნაზიაში შექმნილ მშობელთა სათათბიროს მუშაობას, კონტროლს უწევს მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ფუნქციონირებას.
6. კონტროლს უწევს კლასის დამრიგებელთა მუშაობას, საკლასო ჟურნალების, პორტფოლიოს, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და სხვა სასკოლო დოკუმენტაციის არსებული წესებით წარმოებას.
7. ახორციელებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა მხრიდან მათი ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა მონიტორინგს.
8. ადგენს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკს და ორგანიზებას უკეთებს მის შესრულებას, ყურადღებას აქცევს მასწავლებელთა მორიგეობასა და მათ საგაკვეთილო დატვირთვის შესაბამისობას;

მუხლი 23. ხარისხის მართვის მენეჯერი

ხარისხის მართვის მენეჯერი:

1. ახორციელებს სწავლის ხარისხის მართვას გიმნაზიის წესდების, შინაგანაწესისა და ადმინისტრაციის მითითებების შესაბამისად
2. აწარმოებს გიმნაზიაში სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლს;
3. ზედამხედველობს კათედრებისა და მასწავლებლების მიერ პორტფოლიოს წარმოებას;
4. ზედამხედველობს გიმნაზიის თემატურ-კალენდარული შედგენისა და მისი განხორციელების პროცესს;
5. კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად, ორგანიზებას უწევს საგნობრივი ტესტირებებისა და გამოცდების მიმდინარეობას;
6. საქმიანობას წარმართავს ისე, რომ ყველა რესურსი გამართული და გამოყენებული იქნას მოსწავლეების კეთილდღეობისთვის;
7. გიმნაზიის რექტორს წარუდგენს წინადადებებს სასწავლო პროცესის სრულყოფის შესახებ;
8. იკვლევს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და შედეგების გათვალისწინებით გეგმავს მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგებს, სემინარებს და სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს აღნიშნულ ღონისძიებათა გეგმაზომიერ განხორციელებას. თავისი კონპეტენციის ფარგლებში ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე;
9. ორგანიზებას უწევს კლასების მიხედვით, გიმნაზიის ფსიქოლოგთან ერთად გიმნაზიის ადმინისტრაციის მიერ დაწესებულ ტესტირებებსა და გამოკითხვებს, ახდენს შედეგების ანალიზს და შეფასებას.
10. დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
11. კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს გიმნაზიის ადმინისტრაციის სხვა დავალებებს.
 - ხარისხის კონტროლი;
 - ხარისხის უზრუნველყოფა;
 - ერთიანი ხარისხის მენეჯმენტი;
 - ხარისხის დაგეგმვის ფაზა.

მუხლი 24 „სასულიერო გიმნაზიის“ ფსიქოლოგი

გიმნაზიის ფსიქოლოგი:

1. ეხმარება მოსწავლეებს ჰუმანური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და მოყვასთან ღვთიური სიყვარულით ურთიერთობის დამყარებაში, ხელს უწყობს მათ სწავლასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში,
2. თვალყურს ადევნებს აღსაზრდელის სრულყოფილ ფსიქიკურ განვითარებას ყოველ ასაკობრივ საფეხურზე, რისთვისაც ატარებს სათანადო მუშაობას მოსწავლეებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან და საკუთარ მოსაზრებებს აცნობს გიმნაზიის ადმინისტრაციას.
3. ხელს უწყობს პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, მონაწილეობს პირველკლასელთა სასკოლო მზაობის შესამოწმებელ შეხვედრებში.
4. იკვლევს მოსწავლის აკადემიური ჩამორჩენისა და სოციალური ქცევის ფსიქოლოგიურ მიზეზებს და უწევს შესაბამის ფსიქოლოგიურ დახმარებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
5. ხელს უწყობს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ჯანსაღი ფსიქოლოგიური ურთიერთობების დამყარებას;
6. შეიმუშავებს რეკომენდაციებს კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრისა და აღმოფხვრისათვის. ასრულებს მედიატორის როლს;

7. იკვლევს რთული ბავშვების ინდივიდუალურ თავისებურებებს, ადგენს მისი გამომწვევ მიზეზებს.
8. ატარებს ლექციებს, საუბრებს პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან სხვადასხვა პრობლემის მოგვარების ან პრევენციის მიზნით;
9. ახორციელებს მოსწავლეებზე დაკვირვებას, ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციას განსაკუთრებით რთული ქცევის მოსწავლეებთან დაკავშირებით;
10. კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს გიმნაზიის ადმინისტრაციის სხვა დავალებებს.

მუხლი 25 „სასულიერო გიმნაზიის“ სამეურნეო ნაწილის გამგე

1. „სასულიერო გიმნაზიის“ სამეურნეო ნაწილის გამგეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორი;

სამეურნეო ნაწილის გამგეს ევალება:

- გიმნაზიის მატერიალური რესურსების - საგიმნაზიო-სასწავლო ინვენტარის, თვალსაჩინოებების, ბუფეტის ინვენტარისა და ფართის მატერიალური და ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა და კონტროლი;
- ყოველი თვის ბოლოს მატერიალური რესურსების მდგომარეობის შეფასება და ანგარიშის წარმოდგენა რექტორისათვის პრობლემების გადასაჭრელად საჭირო ხარჯების შესახებ;
- გიმნაზიის შენობის, ტერიტორიის, გათბობის სისტემის კონტროლი;
- გიმნაზიის სველი წერტილების და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის კონტროლი;
- გიმნაზიის წყლით, ბუნებრივი აირით და ელექტრო ენერჯით მომარაგების უზრუნველყოფის კოორდინაცია;
- სამეურნეო წლის ბოლოს ბუღალტერთან ერთად გიმნაზიაში ინვენტარიზაციის ჩატარების უზრუნველყოფა.

მუხლი 26 „სასულიერო გიმნაზიის“ ბუღალტერი

გიმნაზიის ბუღალტერს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორი;

1. თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, საგადასახადო კოდექსით, საფინანსო და საგადასახადო ინსტრუქციებით, მითითებებით, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის წესდებით, გიმნაზიის რექტორის გამოცემული ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და განკარგულებებით, სხვა საფინანსო და საგადასახადო ნორმატიული აქტებით.

თავისი უფლება-მოვალეობის ფარგლებში იგი ახორციელებს:

1. თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად უზრუნველყოფს გიმნაზიის წინაშე არსებული საფინანსო ამოცანების და ფუნქციების შესრულებას.
2. დროულად აკონტროლებს ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ათვისებას.
3. აკონტროლებს საფინანსო გადარიცხვის პროცესის მიმდინარეობას და შედეგებზე ინფორმაციას აწვდის დამფუძნებელს (რექტორს).

4. მკაცრად ხელმძღვანელობს დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული და დამტკიცებული ბიუჯეტით და კონტროლს აწესებს ცალკეული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების კანონიერებაზე
5. სასწავლო გეგმის, საათობრივი ბადის, ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალის სამტატო განრიგის საფუძველზე, სასწავლო და კალენდარული წლის დასაწყისში ადგენს პედაგოგთა და თანამშრომელთა ხელფასების ტარიფიკაციებს.
6. აწარმოებს ანგარიშსწორებას ბანკთან, დროულად უზრუნველყოფს ხელფასების გამოწერას და საგადასახადო ორგანოებში დროულ ანგარიშსწორებას.
7. ადგენს ყოველთვიურ საფინანსო ანგარიშს და ინფორმაციას აწვდის რექტორს.
8. რექტორის მიერ დამტკიცებულ კვარტალურ, ნახევარწლიურ და წლიურ საფინანსო ბალანს წარადგენს საქართველოს საპატრიარქოს შესაბამის სამსახურში.
9. მატერიალურ-ფასეულობათა და სხვა სახის მომსახურეობის მომწოდებელ იურდიულ და კერძო პირებთან ახორციელებს ხელშეკრულების გაფორმებას, კონტროლს აწესებს წარმოდგენილ ანგარიშ-ფაქტურების სანდოობაზე.
10. რექტორის განკარგულების საფუძველზე ახორციელებს განაღდებას და იცავს მათ კონფიდენციალურობას.
11. რექტორთან ერთად პასუხისმგებელია და აკონტროლებს გიმნაზიის ინვენტარის შენახვასა და მოვლა-პატრონობას. სამეურნეო წლის ბოლოს, საინვენტარიზაციო კომისიასთან ერთად ატარებს მატერიალურ-ფასეულობათა ინვენტარიზაციას, ადგენს ოქმს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.
12. ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე, დამფუძნებლის მიერ განსაზღვრულ ვადებში, რექტორთან ერთად შეიმუშავებს ახალი წლის გიმნაზიის ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს საპატრიარქოს.

მუხლი 27 „სასულიერო გიმნაზიის“ პედაგოგიური საბჭო, მისი დაკომპლექტების წესი და პირობები.

1. სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის დემოკრატიული მართვის, სამეცნიერო და მეთოდური საკითხების გადაწყვეტის, სწავლების ახალი საშუალებებისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, გიმნაზიაში შექმნილია პედაგოგიური საბჭო.
2. პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომელიც შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს გიმნაზიის სასწავლო-სააღმზრდელო საკითხებთან დაკავშირებით.
3. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედის პედაგოგიური კოლექტივის ყველა წევრი. პედაგოგიური საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა სამი წლის ვადით;
4. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით.
5. პედაგოგიური საბჭო უფლება მოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მის უფლება მოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
6. პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას საბჭოს წევრთა ერთი მესამედის, აგრეთვე, გიმნაზიის რექტორატისა ან ა(ა)იპ წმინდაგაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორის მოთხოვნით.
7. პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია განიხილოს და დაამტკიცოს:
 - გიმნაზიის სასწავლო გეგმა;
 - გიმნაზიაში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;

- საგნის სწავლების სამოქმედო გეგმა და სტრატეგია;
- სასწავლო პროგრამები;
- მოსწავლეთა შეფასების სისტემა და ინდიკატორები;
- მასწავლებლის გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები;

8. პედაგოგიური საბჭო განიხილავს აღმზრდელობით პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რასაც განსახილველად წარუდგენს გიმნაზიისადმინისტრაციას;

9. პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება და აღძრას საკითხი ა(ა)იპ წმინდა გბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორის წინაშე, მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატებისა და სრულყოფის მიზნით დამატებითი დაფინანსების თაობაზე;

10. პედაგოგიური საბჭო უფლება მოსილია მიიღოს გადაწყვეტილება და აღძრას საკითხი ა(ა)იპ წმინდა გბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორის წინაშე, საგნის სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, დამატებითი სასწავლო რესურსებისა და ღონისძიებების დაფინანსების თაობაზე.

მუხლი 28, „სასულიერო - გიმნაზიაში“ პედაგოგის სამსახურში მიღება

1. „სასულიერო გიმნაზიაში“ პედაგოგის თანამდებობაზე მიიღება კონკურსის წესითა და გასაუბრების შედეგად, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ხდება რომელიც იდება „სასულიერო გიმნაზიასა“ და პედაგოგს შორის.
2. კონკურსის წესი და პირობები განისაზღვრება ამ დებულების X თავით.

მუხლი 29. კლასის დამრიგებელი

1. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით, თითოეული სასწავლო კლასისთვის რექტორი ნიშნავს კლასის დამრიგებელს;
2. კლასის დამრიგებელის მუშაობის მიზანია ხელი შეუწყოს სადამრიგებლო კლასში მოსწავლეების ეკლესიურ აღზრდას, ზნეობრივი ნორმებისა და დაწესებულების შინაგანა წესით დადგენილი წესების დაცვას. დაეხმაროს მოსწავლეებს სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში;
3. დამრიგებელი ვალდებულია კლასში არსებული პრობლემები სისტემატურად აცნობოს „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორატს;
4. კლასის დამრიგებელი თავისი პიროვნული ღირსებებით (გულწრფელობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, თავაზიანობა და სხვა) სანიმუშო უნდა იყოს მოსწავლეებისათვის;
5. დაეხმაროს თავის მოსწავლეებს ეკლესიური ცხოვრების წესის გაცნობასა და დამკვიდრებაში, რაც გულისხმობს სწორი ურთიერთობების დამყარებას გარემომცველ სამყაროსთან;
6. ორგანიზაცია გაუკეთოს მოლოცვებს, ლაშქრობებსა და ექსკურსიებს;
7. დამრიგებლის განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან ხდება პირადი თხოვნის საფუძველზე, ან იმ შემთხვევაში თუ იგი ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, ან არღვევს ზოგად ზნეობრივ ნორმებს;

თავი VII - დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 30. დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

1. „სასულიერო-გიმნაზიის“ დამხმარე სტრუქტურული ერთეულები იქმნება „სასულიერო -გიმნაზიის“ გამართული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით;
2. „სასულიერო-გიმნაზიის“ დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია :ბიბლიოთეკა, IT ტექნოლოგიების ლაბორატორია, კანცელარია, სამედიცინო კაბინეტი, მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფი, მშობელთა სათათბირო, დასამეურნეო განყოფილება.

მუხლი 31 „სასულიერო-გიმნაზიის“ მშობელთა სათათბირო

1. „სასულიერო-გიმნაზიის“ მშობელთა სათათბირო არის მშობელთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც წარმოადგენს ილიათის თოკლასიდან თითო მშობელი. სათათბირო განიხილავს „სასულიერო-გიმნაზიის“ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს;
2. მშობელთა სათათბიროს უფლებამოსეში მუშაოს რეკომენდაციები და განსახილველად წარუდგინოს იგი „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორატს;
3. მშობელთა სათათბირო თავისი უფლებითი კრიტიკის შემთხვევაში იქმნის მშობელთა სათათბიროს ვაში, შეიძლება შეიკრიბოს არანაკლებ ხუთი მშობლის მოთხოვნით.

მუხლი 32 „სასულიერო გიმნაზიის“ ბიბლიოთეკა

1. გიმნაზიაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც წარმოადგენს გიმნაზიის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს. იგი უზრუნველყოფილია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერთა და ასლგადამღებით. ბიბლიოთეკაში დაცულია საგანმანათლებლო, რელიგიური და ისტორიულ-კულტურული შინაარსის მქონე ლიტერატურა;
2. ბიბლიოთეკის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარი, რომელიც შეიმუშავებს და გიმნაზიის რექტორს წარუდგენს ბიბლიოთეკის განვითარების პროგრამებს.
3. ბიბლიოთეკარი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორის წინაშე, ასრულებს „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორის მიერ, კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს;
4. ბიბლიოთეკას შეიძლება ჰყავდეს ასევე სპეციალისტი;

მუხლი 33. „სასულიერო გიმნაზიის“ IT ტექნოლოგიების (ინფორმატიკის) კაბინეტი

1. გიმნაზიაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი IT ტექნოლოგიების ლაბორატორია (ინფორმატიკის კაბინეტი);
2. IT ტექნოლოგიების ლაბორატორიას ხელმძღვანელობს IT სპეციალისტი. იგი უზრუნველყოფს გიმნაზიაში კომპიუტერული ტექნიკის ქსელური ინფრასტრუქტურისა და პროგრამების გამართულ მუშაობას. კერძოდ, სისტემის დაზიანების შემთხვევაში, ოპერაციული სისტემებისა და პროგრამების ინსტალაციას. ასევე, ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით სიახლეების მოძიებასა და მომზადებას;
3. IT სპეციალისტი ახორციელებს გიმნაზიის სერვერისა და საიტის ადმინისტრირებას და პასუხისმგებელია გიმნაზიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სიახლეების დროულ განთავსებაზე;

4. IT ტექნოლოგიების ლაბორატორიას (ინფორმატიკის კაბინეტი) ხელმძღვანელობს კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორი.
5. IT სპეციალისტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია გიმნაზიის ადმინისტრაციის წინაშე, ასრულებს გიმნაზიის რექტორის მიერ, კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 34 სასულიერო გიმნაზიის კანცელარია

1. კანცელარია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს „სასულიერო-გიმნაზიაში“ შემოსული კორესპონდენციის სმილებას, რეგისტრაციას, მათ ადრესატებისათვის დაგზავნას/გადაცემას და მათზე დროულ რეაგირებას; ასევე, ნებისმიერი სახის „სასულიერო-გიმნაზიის“ დოკუმენტაციისსწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებასა და შენახვას;
2. კანცელარიის საქმიანობას უძღვება საქმის მწარმოებელი რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია „სასულიერო-გიმნაზიის“ ადმინისტრაციის წინაშე, ასრულებს „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორის მიერ, კანონის საფუძველზე, დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 35. „სასულიერო გიმნაზიის“ სამედიცინო კაბინეტი

1. „სასულიერო-გიმნაზიაში“ ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც განთავსებულია სასულიერო გიმნაზიის B კორპუსის პირველ სართულზე;
2. პირველად სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფს „სასულიერო-გიმნაზიის“ ექიმი;
3. კადრების შერჩევა „სასულიერო-გიმნაზიის“ ექიმის თანამდებობაზე ხდება „სასულიერო-გიმნაზიის“ ადმინისტრაციის მიერ პირდაპირი დანიშვნის წესით, ა(ა)იპ „წმინდაგაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორთან შეთანხმებით;
4. სამედიცინო კაბინეტში მოსწავლეებს, პედაგოგებსა და „სასულიერო-გიმნაზიის“ სხვა პერსონალს დროულ, პირველად სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ; ასევე, დაგეგმვენ და განახორციელებენ ჯანმრთელობის ხელშეწყობ სხვადასხვა სახის აქტივობებს, გაავრცელებენ ინფორმაციას იმუნიზაციისა და ინფექციური დაავადებების შესახებ;
5. სამედიცინო კაბინეტის დასაქმებული ექიმი-პედიატრი მისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორის წინაშე.

მუხლი 36. სამეურნეო განყოფილება

1. სამეურნეო განყოფილება წარმოადგენს „სასულიერო-გიმნაზიის“ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს;
2. სამეურნეო განყოფილება უზრუნველყოფს „სასულიერო-გიმნაზიის“ სამეურნეო საქმის წარმოებას; ახორციელებს „სასულიერო-გიმნაზიის“ მატერიალურ ფასეულობათა მდგომარეობის კონტროლს. უზრუნველყოფს „სასულიერო-გიმნაზიის“ შენობის მოვლა-პატრონობას, სანიტარული წესებისა და სახანძრო უსაფრთხოების დაცვას, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კავშირ გაბმულობის, გათბობისა და წყალმომარაგების სისტემების გამართულ მუშაობას; სამეურნეო განყოფილება მომსახურებას უწევს „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორატს (ადმინისტრაცია), პედაგოგებსა და „სასულიერო-გიმნაზიის“ სხვა პერსონალს;
3. სამეურნეო განყოფილების თანამშრომლები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებული არიან სამეურნეო დარგში „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორის

მოადგილის წინაშე, რომელიც თავის მხრივ, სამეურნეო განყოფილების საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორს.

თავი VIII - თანამშრომელთა შერჩევისა და დანიშვნის წესი

მუხლი 37. კონკურსის გამოცხადების წესები და პირობები

1. „სასულიერო-გიმნაზიაში“ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, მას შემდეგ რაც დადგინდება მომავალი სასწავლო წლის პერსპექტივები და გამოიკვეთება ვაკანსიები, ცხადდება კონკურსი არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე;
2. ვაკანსიის არსებობის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და იგი ქვეყნდება „სასულიერო -გიმნაზიის“ ოფიციალურ ვებგვერდზე, მედია საშუალებებითა და ვრცელდება ეპარქიის დაქვემდებარებაში მყოფ ტაძრებში განცხადებების სახით;
3. განაცხადების რეგისტრაციის ვადას განსაზღვრავს „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორი კონკურსის გამოცხადებისას. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განცხადებები არ მიიღება;
4. სარეგისტრაციო ვადის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე, „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორი ქმნის კონკურსის მომზადების სამდივნოს;
5. სამდივნო იქმნება „სასულიერო-გიმნაზიის“ თანამშრომლებისაგან და მის მუშაობას ხელმძღვანელობს „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორი;
6. სამდივნოს ევალება კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიღება და მათი საბუთების დადგენილ წესებთან შესაბამისობის შემოწმება;
7. განაცხადებების მიღების ვადა არ უნდა იყოს ვაკანსიის გამოცხადებიდან ერთ თვეზე ნაკლები.

მუხლი 38 რეგისტრაციის დროს წარმოსადგენი საბუთები

1. „სასულიერო-გიმნაზიაში“ მიღების მსურველმა კონკურსის მომზადების სამდივნოში რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
 - განცხადება „სასულიერო-გიმნაზიაში“ მისაღებ კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
 - განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დიპლომის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;
 - საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
 - ავტობიოგრაფია CV-ის სახით;
 - ორიფოტოსურათი ზომით 3X4;
 - სამოტივაციო წერილი;
 - სასურველია წარმოდგენილ იქნეს სულიერი მოძღვრის რეკომენდაცია.

მუხლი 39. კონკურსის ჩატარების წესები და პირობები

1. „სასულიერო-გიმნაზიაში“ გამოცხადებულ კონკურსს პედაგოგთა შესარჩევად ატარებს „სასულიერო-გიმნაზიის“ საკონკურსო კომისია (რომელიც ამ მიზნისთვის იწოდება „საკონურსო კომისიად“) ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის გიმნაზიის“ რექტორთან ერთად;
2. საკონკურსო კომისია კანდიდატების საკითხს განიხილავს ორ ეტაპად;

3. პირველ ეტაპზე კანდიდატების შერჩევა ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ამ კანდიდატების დაუსწრებლად. მეორე ეტაპზე გასვლის უფლება ეძლევა კანდიდატს, რომელსაც საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით მიეცა დადებითი შეფასება;
4. საკონკურსოკომისია უფლებამოსილია გასაუბრებაზე მოიწვიოს მხოლოდ მეორე ეტაპზე გასული კანდიდატები;
5. საკონკურსო კომისია ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება კონკურსანტისათვის უარის თქმის შემთხვევაში;
6. შერჩეული კანდიდატი „სასულიერო-გიმნაზიაში“ შრომის უფლებას იძენს მასშემდეგ, რაც მასსა და „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორს შორის გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი);
7. „სასულიერო გიმნაზიაში“ არაპედაგოგიური პერსონალი მიიღება „სასულიერო გიმნაზიის“ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო-გიმნაზიის რექტორთან შეთანხმებით.

მუხლი 40. თანამშრომელთა მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესი

1. „სასულიერო -გიმნაზიაში“ თანამშრომელი მიიღება კონკურსის წესით. თანამშრომლის შერჩევა ხდება „სასულიერო-გიმნაზიის“ დებულებითა და შინაგანაწესით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით;
2. „სასულიერო-გიმნაზიაში“ მიღებული პირი ვალდებულია „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორატს (ადმინისტრაციას) დამატებით წარუდგინოს:
 - სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
 - ცნობა ნასამართლეობის არქონის შესახებ;
 - სურვილის შემთხვევაში წარმოადგინოს შრომის წიგნაკი
3. თანამშრომლის მიღებისას „სასულიერო გიმნაზიის“ ადმინისტრაცია ვალდებულია:
 - გააცნოს მას „სასულიერო-გიმნაზიის“ დებულება, შინაგანაწესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები;
 - ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ჰიგიენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების საკითხებისა და ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ;
4. თითოეულ თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე, სადაც ამ მუხლის მე 2 პუნქტში და ამავე დებულების 36-ე მუხლში მითითებულ დოკუმენტებთან ერთად ინახება დანიშვნის, გადაყვანის, წახალისების, დისციპლინური სახდელების ან განთავისუფლების შესახებ ბრძანებათა ასლები;
5. თანამშრომელს უფლება აქვს მოშალოს დადებული შრომითი ხელშეკრულება, მაგრამ ამის შესახებ არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობით უნდა გააფრთხილოს „სასულიერო -გიმნაზიის“ რექტორატი (ადმინისტრაცია);
6. გაფრთხილების ზემოთ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მას უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა, ხოლო „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორატი (ადმინისტრაცია) ვალდებულია გაუსწოროს მას ანგარიში (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა);
7. თანამშრომელთა სამუშაოდან დათხოვნა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
8. დაუშვებელია დათხოვნა შვებულების ან დროებით შრომის უნარიანობის დაკარგვის დროს.
9. „სასულიერო გიმნაზიის“ თანამშრომელთან იდება ერთ წლიანი შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი), რომლის ვადა შეიძლება გაგრძელდეს „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორის

ბრძანებით. ხოლო გამოსაცდელი ვადით დანიშნულ თანამშრომელთან იდება შრომითი ხელშეკრულება არანაკლებ სამი თვის ვადით.

მუხლი 41. განსაკუთრებული მოთხოვნები პედაგოგთა მიმართ

1. „სასულიერო -გიმნაზიაში“ პედაგოგის თანამდებობაზე მიღებულ პირს წაეყენება შემდეგი პროფესიული მოთხოვნები:

- ა) საგნის ცოდნა;
- ბ) სწავლების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიების ცოდნა (დიპლომი, ლიცენზია, სერთიფიკატი);
- გ) უცხო ენის ცოდნა (ლიტერატურის გამოყენების დონეზე);
- დ) კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები (საოფისე პროგრამები);
- ე) ზრუნვა თვითგანათლებაზე, პროფესიულ დაოსტატებაზე.

2. პედაგოგი ვალდებულია:

- ა) წარმოადგინოს სასწავლო პროგრამული პაკეტი „სასულიერო-გიმნაზიის“ სტრატეგიისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ბ) კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ჰქონდეს ქრისტიანული ზნეობისა და პედაგოგიკის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა;
- გ) გაუფრთხილდეს „სასულიერო-გიმნაზიის“ მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას;
- დ) სისტემური და აქტიური მონაწილეობა მიიღოს საგნობრივი კათედრების მუშაობაში;
- ე) უზრუნველყოს კლასში სასწავლო დისციპლინა;
- ვ) დროულად (განსაზღვრულ ვადებში) შეასრულოს „სასულიერო-გიმნაზიის“ რექტორატის (ადმინისტრაცია) მითითებები და მოთხოვნები.

3. პედაგოგობის მსურველი შეიძლება მიღებულ იქნეს გამოსაცდელი ვადით, რომლის მინიმალური ვადა არ უნდა იყოს ერთ სემესტრზე ნაკლები.

4. გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდეგ „სასულიერო-გიმნაზიის“ ადმინისტრაციამ (ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას პედაგოგობის კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების დადების, ან ხელშეკრულების დადებაზე უარის შესახებ.

5. შრომითი ხელშეკრულებით (კონტრაქტი) ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, პედაგოგი ვადამდე გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან;

6. „სასულიერო გიმნაზიის“ პედაგოგთან იდება ერთ წლიანი შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი), რომლის ვადა შეიძლება გაგრძელდეს გიმნაზიის რექტორის ბრძანებით. ხოლო გამოსაცდელი ვადით დანიშნულ პედაგოგთან იდება შრომითი ხელშეკრულება ერთი სემესტრის ვადით.

მუხლი 41. შიდა კონტროლის განხორციელების წესი და სახელმძღვანელო დოკუმენტების მიღების წესი

1. „სასულიერო გიმნაზიის“ შიდა კონტროლის სისტემას შეიმუშავებს „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორი და ასახავს მის მიერ გამოცემულ თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში;
2. „სასულიერო გიმნაზიის“ შიდა კონტროლის მექანიზმებია:
 - სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობისა და საგანმანათლებლო მიზნების შესრულების შესწავლა და შედეგების განხილვა პედაგოგიურ საბჭოზე;
 - დაკვირვება პედაგოგზე, რაც გამოიხატება გაკვეთილზე დასწრებითა და მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების აღრიცხვით; ცალკეულ საგნებში მოსწავლეთა მოსწრების პერიოდული მონიტორინგი, რაც გამოიხატება შიდა სასკოლო წერის, ტესტირების, პროექტების მომზადება-პრეზენტაციის, სასკოლო ოლიმპიადებისა და კონფერენციები სორგანიზებითა და მისგან გამომდინარე შედეგების ანალიზით;
 - მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მიზნობრივი გამოკითხვით;
3. „სასულიერო გიმნაზიის“ ბიუჯეტს შეიმუშავებს „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორი დამფუძნებლებთან შეთანხმებით;
4. მონაწილეობს „სასულიერო გიმნაზიის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში და წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს პედაგოგიურ საბჭოს;
5. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სასწავლო გეგმას (საჭიროების შემთხვევაში) შეიმუშავებს საგნის მასწავლებელი დაწყებითი განათლების კოორდინატორთან, ინკლუზიური განათლების კოორდინატორთან და მშობელთან ერთად, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს;
6. „სასულიერო გიმნაზიის“ კლასის დამრიგებელი მონიტორინგს უწევს მოსწავლეთა სასწავლო შედეგებს, მიმართავს ადმინისტრაციას სუსტი სასწავლო შედეგების მქონე მოსწავლეებისთვის დამატებითი მეცადინეობის დანიშვნის მოთხოვნით;
7. „სასულიერო გიმნაზიის“ კლასის დამრიგებელი ვალდებულია ყოველთვიურად შეაგროვოს ინფორმაცია მოსწავლის გაცდენებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (მათ შორის შემაჯამებელი დავალების გაცდენის შესახებ) და უზრუნველყოს მშობლის ინფორმირება მინიმუმ სემესტრში ორჯერ (საჭიროების შემთხვევაში გაცდენების გამო მოსალოდნელი შედეგების თაობაზე მოსწავლის მშობლის დროული ინფორმირება); უზრუნველყოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზის საფუძველზე მოსწავლის დახასიათების დაწერა სასწავლო წლის ბოლოს;
8. ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის შესახებ ანგარიშს ამზადებს «სასულიერო გიმნაზიის რექტორი და წარუდგენს დამფუძნებლებს.

თავი IX - გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 42. „სასულიერო -გიმნაზიის“ დებულების დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი

1. „სასულიერო-გიმნაზიის“ დებულების პროექტს ამზადებს „სასულიერო გიმნაზიის“ დირექცია (ადმინისტრაცია) და დასამტკიცებლად წარუდგენს ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორს;
2. „სასულიერო გიმნაზიის“ დებულებას ამტკიცებს ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორი.
3. ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორატისაგან (ადმინისტრაცია) დამოუკიდებლად მოამზადოს და დაამტკიცოს „სასულიერო -გიმნაზიის“ დებულება და შეიტანოს მასში ცვლილებები.

მუხლი 43. „სასულიერო -გიმნაზიის“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. გადაწყვეტილებას „სასულიერო -გიმნაზიის“ რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ იღებს მისი დამფუძნებელი- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს „სასულიერო გიმნაზიის“ ადმინისტრაციასთან ერთად. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლიკვიდაცია ხდება ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორის გადაწყვეტილების გარეშე.
2. „სასულიერო-გიმნაზიის“ გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა) შერწყმა (გართიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება ლიკვიდაციისათვის/რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. „სასულიერო გიმნაზიის“ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებაზე უფლებამოსილ პირს განსაზღვრავს მისი დამფუძნებელი- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმომადგენლის (უფლებამოსილი პირის) ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ა(ა)იპ „წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს „სასულიერო გიმნაზიის“ რექტორსა და ადმინისტრაციასთან ერთად.

დანართი N-2

2020 -2021 სასწავლო წლის(უქმე დღეების) კალენდარი

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის უქმეებისა და არდადეგების კალენდარი

2020- 2021 სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისაგან და გიმნაზიაში დადგენილია 5-დღიანი სასწავლოკვირა, გიმნაზიის უქმე დღეებია:

1. ღვთისმშობლის შობა - 21 სექტემბერი
2. მცხეთობა-სვეტიცხოვლობა- 14 ოქტომბერი
3. გიორგობა- 23 ნოემბერი
4. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება - 4 დეკემბერი (ანაზღაურდება 5 დეკემბერს)

5. ნათლისღება - 19 იანვარი
6. მირქმა - 15 თებერვალი
7. ხარება - 7 აპრილი
8. ვნების შვიდეული-26 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით პერიოდი
9. აღდგომის მეორე დღე-3 მაისი
10. ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე- 12 მაისი
11. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე- 26 მაისი
12. ამაღლება უფლის ჩვენისა იესო ქრისტესი- 10 ივნისი ანაზღაურდება 12 ივნისს.